თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

**ო ქ მ ი N 2**

ქ. თელავი

2022 წლის 18 თებერვალი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსი ძულიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ**: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ბიძინა ხატიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

**დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

3. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

**მოისმინეს 1.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა** გამოთქვა მოსაზრება წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**ლევან ბერძენაშვილის** მოსაზრებას მხარი დაიჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე .

**მოისმინეს 2.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ იზოლდა ჭყოიძის ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი და მათთვის ეს არის ერთადერთი

საარსებო სამუალება, და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე .

**მოისმინეს** 3. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **ბიძინა ხატიაშილმა** აღნიშნა, რომ გიორგი მარგალიტაშვილმა მოცემულ ნაკვეთზე მშენებლობის დროს შეცდომით განსაზღვრა განაშენიანების ადგილი, რის გამოც სამეზობლო დავის შედეგად მას მოუწია აშენებული შენობის დანგრევა და შეექმნა მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ამის გათვალისწინებით და ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია მისი სააუქციონი პირობებისგან განთავისუფლება.

**ბიძინა ხატიაშვილს** დაეთანხმნენ კომისიის წევრები და დააყენეს წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**გადაწყვიტეს:** გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს** 4. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **ზურაბ მოსახლიშვილმა** დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**ზურაბ მოსახლიშვილის** წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: თ. ხან თინათინ ხანჯალიაშვილი